

რედაქცია: სოლოლაკზე, სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Типо-дшеъ. Въ редакцію газ. „Дროება“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაუხრათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებში.

ფასი განცხადებლისა: დღით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით ტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცი-ცეროთი—5 კაპ., პატარაით—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდე-ლი სტატიები ავტორს არ დაუბრუნ-დება.

გომავალს 1879 წელს გაზეთი

## „დროება“

გამოვა ვუდამ დღე და იმავი პროგრამითა და მიმართულებით როგორც აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მოწერა

მთელისში—მიიღება „დროების“ რედაქციაში (სერგიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8).

ბარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Типо-дшеъ. Въ Редакцію газ. „Дროება“.

აგენტების საშუალებით გაზეთის დაბარება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, რომ ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იყოს რედაქციაში გამოგზავნილი.

გაზეთის ფასი

მთელის წლისა	—	—	—	—	—	—	—	—	—	8 მან.
ნახევარის წლისა	—	—	—	—	—	—	—	—	—	5 "
სამის თვისა	—	—	—	—	—	—	—	—	—	3 "
მართის თვისა	—	—	—	—	—	—	—	—	—	1 "

მხოლოდ ამ ვადებით შეიძლება გაზეთის დაბარება.

ხვედრი ფასი გაზეთისა დაბარებისა-თანავე უნდა იქმნას გამოგზავნილი; უფულოთ გაზეთი არაღვის არ გავეგზავნება.

## სამართველო

კითხვა

- 1). პეტერბურღში რომ ქალაქის ხმოვანებად სულ წემცები აირჩიონ და არცერთი რუსი არ გაურონ, რას იტყვიან?
  - 2). მარშავაში რომ სულ ურები აირჩიონ და ერთი პოლშელიც არ გაურონ, რას იფიქრებენ?
  - 3). მთელისში რომ ერთი ქართველიც არ გაურონ ამორჩეულების რიცხვში, რას უნდა მევაწეროთ ეს?..
- ამ კითხვას მე არ ვაძლევ იმ აბლაბუდებს, ქსელს რომ აბამენ დიდიდამ სალამომდე ბუზების დასაქვრათ! ამის პასუხს ვსთხოვ ისეთ ყაპის ჭიებს, როგორებიც ბრძანდებიან სომხურ ჟურნალ-გაზეთის რედაქტორები და იმათი ავანჩავანები...

აკაკი წერეთელი

## პირველი ხარისხის ხმოვანთა ამორჩევა

ბუშინ, 12 ქრისტეშობისთვის, სალამოს, ჩვენი ქალაქის ჩიევის ზალაში იყო კენჭის-ყრა პირველი ხარისხის (რაზრიადის) ხმოვანებისა.

ქენჭის-ყრაზე დაესწრო სულ 32 კაცი, რომელთაც ხმა ჰქონდათ (სულ 45 მეკენჭეა პირველი ხარისხისა).

ამორჩეულ ხმოვანების სია ქვემოთ არის მოყვანილი. ამ სიიდან ცხადათ დაინახავთ, რომ დიდი ნაწილი ახალი პირები არიან არჩეულნი. ამას გარდა ყურადღების ღირსია, რომ ქალაქის მდიდრები, ფულიანი ხალხი ამ 24 კაცში სულ 5-6 კაცი თუ ურევია, მეტი არა.

ზამორჩენილი მდიდრები ჩვენის ქალაქისა, როგორც მავალითად, ი. ა. ჩითახოვი, ა. ლ. თაიროვი, ი. ბ. მუხუბოვი, ი. ი. შითუაშვილი და სხვ., რომელთაც კენჭი იყარეს, გაცურებულნი იქმნენ.

ეს ყურადღების ღირსი მოვლენაა. და თუ პირველი ხარისხის ამომრჩეულებმა ჩაიღინეს ამისთანა საქმე, იმედი უნდა გვექონდეს, რომ მეორე და მესამე ხარისხის მეკენჭეები უფრო ნაკლებ ყუ-

რადღებას მიაქცევენ სიმდიდრესა და ფულიანობას.

და ამნაირად, ეს ამგვარად საქმის დაწყება ჩვენ გვაძლევს სრულს უფლებას ვიფიქროთ, რომ მომავალი ოთხის წლისათვის ჩვენს ქალაქს უფრო რიგანი, უფრო კარგი მზრუნველი და ყურის მგდებელი ჩიევა და თან გამგეობაც ეყოლება, ვინემ გასულ ოთხი წლის განმავლობაში ჰყავდა.

მოგვეყავს სია პირველ ხარისხის ხმოვანთა:

1. ალ. სტ. შატინოვი
2. ან. სოლ. ქორღანოვი
3. პ. ლ. ალხაზოვი
4. არ. ნ. მეთხულოვი
5. პ. ა. იშმაილოვი
6. არ. არ. ხარაზოვი
7. აბ. პ. ბებუთოვი
8. ალბ. თ. ზალცმანი
9. ნ. დ. ზუბალოვი
10. ი. ზ. დ. თუმანოვი
11. ბ. ბ. ქვანგულოვი
12. ივ. ივ. პოლტარაცკი
13. ზაქ. შაბ. თამამშევი
14. ე. ი. მანთაშევი
15. ს. ა. ამიროვი
16. მელქ. შას. ლომიხე
17. ა. თ. შრიდონოვი
18. მ. ი. ალიხანოვი
19. მარკ. ი. დოლუხანოვი
20. არტ. ა. თამამშევი
21. მ. ი. სპიროვი
22. ი. მ. წურიხოვი
23. ნ. თ. დობრჟანსკი და
24. ბოლ. ივ. სტატკოვსკი

დღიური

\* \* \* საჭიროთ ვრაცხთ გავახსენოთ ჩვენი ქალაქის ამომრჩეულებს, რომ მეორე ხარისხის (რაზრიადის) კენჭის-ყრა, ხმოვანების ამოსარჩევად, იქნება ხვალ, პარასკევს, 15 ქრისტეშობისთვის, მუხრანსკის სახლში, ძლუბის ზალაში, და მესამე ხარისხისა კი ამავე ადგილას, მომავალ ორშაბათს, 18 ქრისტეშობისთვის, დილის 10 საათზედ.

\* \* \* „მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია ბათუმიდამ მიღებული კარტესპონდენცია, რომელშიაც, სხვათა შორის, იწერებიან, რომ ამ ყამად ბევრი საქა-





ნელი მოაქვთ აქ უცხო ქვეყნის გემებითაო. თუქცა პორტო-ფრანკოდ ითვლება ბათუმით, მაგრამ მაინც ჯერ-ჯერობით დიდი სიძვირე არის ყოველ გვარი ხორაგეულისაო; მაგ 10 კვერცხი ხუთ შაურად იყიდებოდა, გირვანქა პური—7 კაპ., ხორცი—10 კაპ., მარსელის შაქარი—27., რუსის—19-ად, გირვ. სანთელი—33 კაპ., ვაშლი—3 კაპ., ყურძენი—ორ შაურად და სხვ.

\* \* \* **ზაზ. „მზზორი“** გეაცნობებს, რომ მომავალი წლიდამ შარსში გამოიცემა რუსული გაზეთი.

ამავე გაზეთის სიწყევით, პოლიციის აფიცურს მოჰყავს იქილამ თფილისში გამოჩენილი ავაზაკი ტატო წულუკიძე.

\* \* \* **ჭუთაისი**დამ გვწერენ, რომ, თუმცა ამ ქადა აღეთკენ ჩინებული დღეები დგას, გასაოცრად თბილა და ხეხილები ჰყვავიანო, მაგრამ ქალაქის მცხოვრებლებში მაინც სხვა-და-სხვა ავთამყოფობა არის გავრცელებული და სიკვდილი განშირდაო.

საქონლის ჭირიც, როგორც გეაცნობებენ, ჯერ კიდევ სრულიად არ მოსპობილა იმერეთისაკენ.

\* \* \* **ზაზ. „ქაკაზს“** შეუტყვია, რომ ახალი მზრუნველი ქაკაზის სამასწავლებლო მანრისა უფ. იანოვსკი ამ ქრისტეშობის თვის 12-ს წამოსულა პეტერბურგიდამ და საშობაოდ თფილისში ჩამოვაო.

\* \* \* **მრპირი**დამ გვწერენ, რომ ამ უკანასკნელ დროს იქ საშინლად დაცემულა ვაჭრობა და ამის გამო იმედ-მიხილი და უსაქმო ვაჭრები დღე და დამეს ქალაქის (კარტის) თამაშობაში ატარებენო; და ამ თამაშობის დროს რამდენიმეჯერ ჩხუბი მოუვიდათ და კარგა მიზილეს ერთმანეთითო...

**„დროების“ კორექსიონდენცია**

**ჭუთაისი, 9 დეკემბერს.** ამა თვის 7-ს ჩვენი ქალაქის რჩევამ (დუჰამ) თავის სხდომაზე, სხვათა შორის, განიხილა და უკვე მიიღო ორი მეტად მოსაწონი და სასიამოვნო წინადადება შპრავის: დაარსდეს ქ. ჭუთაისში: ა.) სამოქალაქო საავთმყოფო (городская лечебница) და ბ.) პირველ-დასაწყისი სასწავლებელი (начальное училище).

ამ ორი მიზნისათვის რჩევამ უკვე მიიღო და დაამტკიცა კიდევაც ის სმეტა, რომელიც წარმოადგინა შპრავემ და რომელშიაც არის გამოყვანილი როგორც პირველ-დაწყებითი ხარჯი, აგრეთვე მუდმივ შემწევობა ქალაქის ხაზინიდან.

საავთმყოფოს დაარსება განიზრახეს რამოდენიმე აქ მყოფ ექიმებმა იმ მიზნით, რომ ამით მიეცეს წამლობის სა-

შუალეზა გაჭირებულს მდაბიო ხალხს. ამ ექიმებს შეუდგენიათ წესდება და დაახლოვებითი პირველ-დასაწყისი ხარჯის ანგარიში, რომელიც წარუდგენიათ ლუბერნატორასთვის და დღეს ქალაქის რჩევამ, როგორც მოგახსენეთ, უკვე მოიყვანა სისრულეში ესრეთ მშენიერი და მოსაწონი განზრახვა ჩვენი ექიმებისა. მათი წესდება მხოლოდ შოთ შეცვალა, რომ ქალაქის ბებია-ქალმა და ფერმალმა უთუოდ ადგილთარბი ენა უნდა იცოდნენ, ურომლოდ ძრიელ დაბრკოლება მიეცემათ თვით უფ. ექიმებსაც, თავის საქმის კარგათ წარმატებაში.

მეორე წინადადების ე. ი. პირველ-დასაწყისი სასწავლებლის შესრულება დიდი ხნის განზრახული იყო, მაგრამ დიდი სასიამოვნო არის, რომ ესლაც გარდაწყვიტეს ამის დაარსება. მასწავლებელი ქალაქის მზრუნველობის და მხედველობის ქვეშ უნდა იქმნეს: ყოველივე ამ სასწავლებლის წარმატების ან დამცირების მიზეზი იქმნება თვით ქალაქი. ქალაქმა უნდა ამოიჩიოს „სამასწავლებლო რჩევა“ (училищный совет), რომელსაც სრულიად უნდა მიეღოს ქალაქისაგან შემოსხენებული სასწავლებელი; ამისათვისაც საჭიროა, რომ ამ „სამასწავლებლო რჩევაში“ შევიდნენ, ქალაქისაგან ამორჩევით, იმისთანა პირები, რომელთაც ბეჯითად იცოდნენ და ესმოდნენ—რა არის სწავლა და რა საშუალებანი უნდა იხმარონ მის წარმატებისათვის და სასარგებლოდ მოსწავლე ყმაწილებისათვის. ამ რჩევის შეხედულობით უნდა იქმნეს აღმორჩეული ადგილი და სახლი სასწავლებლისათვის; ამ რჩევის აღმორჩევით უნდა დაიყენოს მასწავლებელი; რჩევის ვალდებულება აგრეთვე სხვა-და-სხვა ამ უკოლის პედაგოგიური ნაკლულებანების მოსპობა, თვით დაწყებისათანავე და სხვ.

რა ბევრი ლაპარაკი უნდა იქას, რომ ყმაწილების აღზრდას, იგრეთ აღზრდას, რომ გამოვიდნენ საბოლოოდ ხეირია ყმაწილები, დიდი შრომა უნდა და ამ საქმის კაცს დიდი გამოცდილება ჰქუიოს, როგორც პედაგოგიური, აგრეთვე ცხოვრებაშიაც. მისი ცხოვრება უნდა იქმნეს სრულებით გულითადის სურვილით მიქცეული თავის მიზანზედ. ამისათვის საჭიროა მასწავლებელს და აღმზრდელს ჰქონდეს, თუ არა სრული თავისუფალი დრო, უმეტეს ნაწილი მაინც, რომ არა რაიმემ მოუშალოს იმას ხელი ამ საქმის რიგინად წაყვანაში.

ამის გამოც ჩვენ ძრიელ განგვაყვიფრა იმ შემთხვევამ, რომ ქალაქის რჩევამ იმ სხდომაშივე აღმორჩია თავის შორის რამოდენიმე ისეთი პირი სამასწავლებლო რჩევის წევრებათ, რომელთაც იმდენი გაეგებათ ესლანდელი პედაგოგიური მოთხოვნილება ყმაწილების აღზრდაში, როგორც მე და თქვენ, მკითხველებო, გაგვეგება რაიმე ვსთქვათ ჩინეთის ლიტერატურაში. ამას გარდა ის პირები იმ გვარი ხელობის კაცები განლაგან, რომ დღეს აქ არიან, ხვალ შეიძლება ცხრა მთას გადაღმა წავიდნენ

ანუ გარდაიყვანონ... **ქრისტეშობა**  
 მაგრამ თუ გინდა ქრისტეშობა, მაგარტებას მისცემენ ისინი ამ საწყალს სასწავლებელს? რა ნაკლულებანებს მოჰპობენ ისინი სასწავლებელში, თუ კი არ ექმნებათ იმ ნაკლულებანების გაგება. შოთი ამათგანა არის ფრჩხის სტანციის უფროსი, მეორე ინჟინერი, მესამე გამოძიებელი. მეოთხე კიდევ ინჟინერი, მხეხუთე... აბა რა წარმატებას უნდა მოველოდეთ ამათგან სასწავლებლისათვის? მნა აქ არ მოიპოვებია იმისთანა პირები, რომელნიც, დიდი ხნის ამ საგანზედ მზრუნველობით, გამოცდილი არიან ამ საქმეში, და დიდს სიამოვნებოდაც მოჰკიდებდნენ ამ სასიამოვნო შრომას ხელს?...  
 ამ საგანზედ საჭიროა კარგათ მოიფიქრონ იმ პირებმა, რომელთ ხელში არია ამ ქადათ ეს სასწავლებელი. თუ სახლს თავიდავე მაგარი საძირკველი არ გაუყვითდა, შეიძლება შრომამ ტყუილუბოლოდ ჩაიაროს...

**მაჭახელი, 3 დეკემბერს.** 23 ნოემბერს დაიწყო თათრების ბაირამი და ოთხი დღე იდღესასწაულეს 27-მდე. ამ ბაირამს უწოდებენ „შურბან ბაირამს.“

იმ დღეს დაკვირვებენ სამღვთოს, და ამ ოთხი დღის განმავლობაში ხელს აძლევენ ერთი მეორეს და დიდი პატარას, მცირე დიდებულს, ნათესავები ერთმანეთს კოცნიან ორივე მხრებზე, ულოცვენ ამ სიტყვით: „ბაირამ მუ ბარეკ ვოლა!“

პირველათ მიეღვენ საფლავზე, მკვდარს მოიხსენიებენ ღოცვით. უკიდევ სამღვთოს დაკლავს ყველა სახლის-პატრონი თავის ხელით შეძლების-და-გვარათ. შემდეგ შეიქნება მხიარულება და სროლა თოფისა; თითო-ოროლა თოფს ყველა დაცლის, ბაირამი რომ გათენდება და დილას რომ გამოვლენ ჭამილამ.

ამ დღეებში არის ქორწილები გაჩაღებული.

ამ ბაირამმა ბევრი საინტერესო ამბავი გამოგვბინა: აქ მღერიათ ყოველ იმერულ სიმღერას; ლექსით მოთქვამს ერთი კაცი, ბანს აძლევენ სხვანი ტამის კვრით, მოთამაშეები ხტიან და იკლაკნებიან წელში, განტომ-გამოხტომამში ხან აქეთ იხრება, ხან იქით, ხან წინ, ხან უკან.

მრთმა ხოჯამ ჯამეში სხვათა შორის შეაჩვენა ზალუში კაცი (უდი კაცი). მაშინ წარმოდგა ერთი ბეგი და უთხრა:

—ხოჯა, შენ დაფიშმანდი (დაფიქრდი) რას ამბობს! შენ შენი სიტყვით მაშქადიანს წყევლი და შენი შეჩვენება გიაურებს ღოცვათ მიუეა. ჩვენმა გამჩენმა ხუთი გზა მოგვცა, როგორც ისლამებს, ისე გიაურებს; ჩვენ ხუთივე დავკარგეთ და გაურებმა ოთხი გზა, მაშასადამე ისინი გვეჯობიან რჯულს გარდა, და ალოლანბც ჩვენ ჩაგვყარა ამ დღეში. მა გვეკადრებოდა და ეს მივიღეთ... ბიაურებს



არ უყვართ კაცის-კვლა, კაცის გაქუცვა (გაცარცვა), კაცის დაძახვა; ჩვენ მხოლოდ ერთი ლოცვა დავგონებთ, ზუთჯერ ვლოცვილობთ, ეს არის და ეს... როცა ჩხუბი არის ორ ყირაოს (მეფეს) შუა, გამჩენელი გამოგზავნის ორს მალაიქს (ანგელოს) და დაბრის, რომელ სახელმწიფოში სიძარტლე და წესიერება ნახო, იმას მოეხმარეო, იმისი ხმალი გააძლიერეო, — იმისათვის გიაურების ხმალი გაძრიეოდა ეხლა! ძაჲე, ილოცეთ, გონჯობას (კუდობას) თავი დაანებეთ, ღმერთიც გიხსნისთ და გაძრიელებს ისლამს!“

ამ ჟამად ხალხი აქ ძრიელ არეული არის: შოელიან რუსეთსა და ანგლისს შუა ომს.

რამდენათაც მე გავიცანი ამათი ჰაზრი და შეხედულობა, ამ ორში ერთს უნდა მოველოდეთ: ან ომს ასტეხენ გაზაფხულზე, თუ ინგლისთან ომი იქნება, და ან ზოგნი გადავლენ მსმალეთში. ზოგები ამას ამბობენ: „ჩვენ ვატყუებდით ბევრებს წამოგყვებითო მსმალეთში; მაგრამ ამას ეფიქრობდით, რუსების ხელში ბევრები ვერ შეგვაწუხებენ და თათარში ისევ ისე ბატონები იქნებიანო.....“

თ. ლ. წ.

## უცხო ქვეყნები

### ინგლისი და ავღანი

ლაგორიდან მოვიდა შემდეგი ამბავი ლონდონში 6 დეკემბერს:

„ბუშინ ინდოეთის ვიცე-კაროლმა ლორდ ლიტტონმა დახედა 3,000 კაცი, რომელიც ადგილობრივ მცოვრებლებსაგან არის მოგროვილი და რომელიც ავღანის წინააღმდეგ საბრძოლველად უნდა გაიგზავნოს. ვიცე-კაროლმა მოიწონა ეს ჯარი, რომელიც ხვალ პეშავარიდან უნდა წავიდეს ხეიბერისაკენ, და იჭიროს და დაიცვას იქაური გზები და იქ დაყენებული ინგლისის ჯარები კი მაშინ წინ გაიწვევენ ძაბულისაკენ.“

— ბაზეთს „სტანდარში“ დაბეჭდილია ინდოეთიდან მიღებული დეპეში, რომელიც გვაცნობებს, რომ ინგლისის ჯარებს ავღანის ქალაქი ჯელალაბადი აუღიათ.

— ინგლისის ზემო (ლორდების) პალატამ მიიღო ლორდის ბიკანსჰალდის წინადადება, რომლის ძალითაც ეს პალატა მომავალი წლის 1 თებერვლამდინ შესწყვეტს თავის სხდომებსა.

— ბერმანის იმპერატორისა და იტალიის კაროლის გარდა, ამ მოკლე ხან-

ში ინგლისის კაროლდების მიტარების მოკვლაც განუზრახავთ ვილაცაებს. ბაზეთებში გამოცხადებულია, რომ ინგლისის კაროლდებს მოსვლია ვილაც უცნობი პირებისაგან ხელ-მოუწერელი წიგნი, რომელშიაც აცნობებდნენ, რომ მოკვლას გიპირობენ, უფროხილდითო. იწეობიან, რომ ამ საქმის თაობაზე რამდენიმე კაცი არის დატუსაღებული და კაროლდებს სასახლეს ყარაულები მიუმატესო.

### საზრანგეთი

რუსულბლიკლების პარტიის მოთავის — შამბეტას წინადადებით, ნაციონალურმა პრეზამ 1 ნოემბერს შესწყვიტა თავის სხდომები მომავალი წლის 2 იანვრამდინ.

— საფრანგეთიდან და აგრეთვე საზოგადოთ შეროპის სხვა-და-სხვა სახელმწიფოებიდან მოდის ამბავი, რომ წელს ყველგან საშინელი ზამთარი არისო, დიდი თოვლი მოსულა და სიცივეები დამდგარა. შვეიცარიაში მავალითად მთებში ისეთი ღრმა თოვლი დამდგარა, რომ ზოგან არათუ საქვეითო, რკინის გზებიც კი გაკავებულია და ხალხს ერთმანეთში მისვლა-მოსვლა მოესპოვა.

### იტალია

მრთს ბელგიურს გაზეთში დაბეჭდილია მენოტტი ბარიბალდის წიგნი ერთს თავის მეგობართან მიწერილი; მოგვყავს ამ წიგნიდან რამდენიმე შესანიშნავი ადგილი:

„ჩვენი კაროლის მოკვლის განზრახვა, რასაკვირველია, სამწუხარო მოვლენაა; უეჭველია, რომ ამ გარემოებას ცუდი ზედ-მოქმედება ექმნება იტალიის წარმატების საქმეზედ.“

„მაგრამ, მეორეს მხრით, იმ პირებმა, რომელთ ხელშიაც არის იტალიის ბედი და გამგეობა, ყურადღება უნდა მოაქციონ გაჭირებული ხალხის მდგომარეობას. თუ იმათ არ უნდათ, რომ ადელვებულ ხალხის ზვირთმა ქვეშ მოიყოლოს, ამ ხალხის ბედზედ უნდა იფიქრონ.“

„თავისუფლებისა და ხალხის წარმატებას მტერნი, რეაქციონერები მოინდომებენ ამ გარემოებით სარგებლობას და ქვეყნის ბედის ხელში ჩაგდებას; მოინდომებენ პაიროლის სამინისტროს გადაყენებას. თუ ეს მართლა ასე მოხდა, მაშინ მე და ჩემი მომხრენი, პარლამენტს გარეშე, ავიღებთ იარაღს ხელში და უკანასკნელ სისხლის წვეთამდინ ვიბრძობებთ.“

## ბაქო-ბრძანებები

პატიმარების ბირჟა, 12 დეკემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოში)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის — — — —	96—50
მეორე — — — — —	94—75
მესამესი — — — — —	94—50
მეოთხესი — — — — —	94—75
აღმოსავლეთის პირ. — — — —	92—87
აღმოსავლეთის მეორე — — — —	91—37
მ.ქრო, 1/2 იმპერიალი — — — —	8—58
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი — — — —	„ — „
შინაგანი 5% სესხის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი სესხის — — — —	237—25
მეორე სესხის — — — —	232—50
1 მანეთი ლირს:	
ლონდონი — — — —	23 — „ პენსი
ამსტერდამი — — — —	116—37 ცენტი
ბერლინი — — — —	196 — „ ჰფენიგი
პარიჟი — — — —	241—50 სანტიმი
ქაევასიის კერასინი — — — —	„ — „

## ბანსხალბანი

### ლაპარხვა

მისაც ჰსურს თავიანთ მიცვალებულის ბანსხალბანის დროს ჰყავდეს მუშუიკა იაფ ფასად, შეიძლება მამართოს ჩმხსლავნიანურ მრამსტრის დირექტორს უფ. მატუშეკს, რომელიც ცხოვრებს მუხრანსკის ქუჩაზედ, სახლის № 27. (3—3)

1879 წელს გაზეთი

## ბაქოს ცხოვრება

(БАКИНСКІЯ ИЗВѢСТІЯ)

ბამოვა ბაქოში ისე, როგორც წინა წლებში გამოდიოდა.

პირებმა წელიწადში, ბაქოში, მიტანით—5 მან; ნახევარ წლით—3 მან., სამთვით—1 მან. 75 კ., თვეში —75 კ. მაგზავნით ყველა ქალაქებში—6 მან., 1/2 წლის—3 მან. 50 კაპ., სამი თვით —2 მან., თვეში—90 კაპ.

ხელის-მოწერა მიიღება ბაქოში, დაღმევის სახლში, მილუტინის ქუჩაზედ და ბაქოს შროთიერო პრედიტის ბანკში.

ბაქოს გარეთ მცხოვრებნი ამ აღრესით დაიბარებენ გაზეთს: Въ Баку, въ редакцію „Бакинскихъ Извѣстій.“

(3—3)

დაიბეჭდა და ისყიდება ა. მთუთაევის სამ-მოქმედებიანი კომედია; „რძალი, მული და მაშინიკაჲი“ — თ ფ ი ლ ი ს შ ი; ბრიქუროვის, პართანოვის და ჩარკვიანის წიგნის მალაზიაში,



